



მუშათა და გლეხთა მთავრობის

განონთ და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისიათა სახეოს და ქორეოგრაფი სახეოს
საქმეთა მმართველოზის გამოსცემა

1931 წ. ნოემბრის 20.

№ 22

ნაწილი კირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

223. საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს განკარგულებაში საუწყებო მილიციის შესაწავად სპეციალური სახსრის შექმნის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

224. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კომუნალური მეურნეობის სამმართველოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატად გადაკეთებისა და ამ ოკანასკნელის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

225. „სამწებრო და სახლეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების საბლებიდან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში არმყოფ პირთა გამოსახლების თაობაზე“ გამოცემული სსრკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

226. სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაში მუდმივ სამუშაოდ წარგზავნილი კვალიფიციური მუშებისა და საინჟინერო-სატექნიკო პერსონალისათვის წინანდელ საცხოვრებელ ადგილას საცხოვრებელი ფართობის შენარჩუნების შესახებ.

ფინანსები.

227. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან კოლექტიურ მეურნეობათა მეხბრე-შემეობისა და თუთის ხის ხრალის შემოსავლის განთავისუფლების შესახებ.

სოციალურ-კულტურული წყობილება.

228. სრულიად საქართველოს წითელი ჯგერისა და წითელი ნაბეარმთვარის საზოგადოების დეკადის (ათლიურის) ჩატარების შესახებ.

სახამართლო წყობილება და ხამართლის წარმოება.

229. საბინაო-კომერციატულ ამხანაგობებთან და სახელმწიფო და მუნიციპალურ სახლებში არსებულ საამხანაგო სასამართლოების შესახებ.





სახელმწიფო წარმოება და მმართველობა

233. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს განკარგულებაში საუწყებო მილიციის შესანახად სპეციალური სახსრის შექმნის შესახებ.

„სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ სახსართა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 27-ის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-12 №-ი, მუხ. 141), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს იქონიოს სპეციალური სახსარი საუწყებო მილიციის შესანახად.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული სპეციალური სახსარი შეიქმნება იმ თანხები-საგან, რასაც სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანოები შეიტანენ საუწყებო მილიციის შესანახად, მილიციის მთავარი სამმართველოს მიერ ამ ორგანოებთან დადებული შეთანხმების თანახმად; ეს სახსარი ინახება და იხარჯება „სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ სახსართა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 27-ის დადგენილებით გათვალისწინებული წესების თანახმად.

შენიშვნა 1. საუწყებო მილიციის შესანახად საჭირო სახსარი სახელმწიფო თუ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს მიეცემათ მათი ხარჯთაღრიცხვების მიხედვით.

შენიშვნა 2. მილიციის მთავარი სამმართველოს სპეციალურ სახსარში ჩარიცხული საუწყებო მილიციის შესანახი თანხები იხარჯება ამ თანხების მინსობრივი დანიშნულებისამებრ, ე. ი. მარტოოდენ საუწყებო მილიციის შენახვისა და ამ შენახვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო ღონისძიებებისათვის.

3. ინსტრუქციას შემოაღნიშნული სპეციალური სახსრის შენახვისა და ხარჯვის წესის შესახებ და სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებთან დასადებ ტიპურ ხელშეკრულებას საუწყებო მილიციის მიერ მათთვის მომსახურების გაწევის თაობაზე დაამტკიცებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველი პ. ტუზბლაძე.

1931 წ. ოქტომბრის 13.

ტფილისი.



კომუნალური და საბინაო მეურნეობა

234. დადგინდება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კომუნალური მეურნეობის სამმართველოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატად გადაკეთებისა და ამ უკანასკნელის დებულებების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კომუნალური მეურნეობის სამმართველო გადაკეთებულ იქნეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატად.

2. დამტკიცებულ იქნეს ქვემოთდევნი დებულება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კომუნალური მეურნეობის სამმართველოს დროებითი დებულება (კან. კრ. 1931 წ. მე-8 № ი, მუხ. 81) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმსრ. ბ. შაჩაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. შოგია

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი ს. თოდრაძე

1931 წ. სექტემბრის 17.

ტფილისი.

დებულება

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის ცენტრალური ორგანოა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იგი ანხორციელებს: ქალაქებისა და დაბების სოციალისტურ საუფლებზე მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ხელმძღვანელობას, კომუნალური და საბინაო მშენებლობისა და მეურნეობის დაგეგმვას და რეგულირებას, სახანძრო დაცვის ხელმძღვანელობას, ზედამხედველობასა და კონტროლს და აგრეთვე არასამრეწველო მშენებლობის რეგულირებას.

2. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, ექვემდებარება-არა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს, ანხორციელებს აგრეთვე თავისი მოქმედებით ა/კსესრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დირექტივებს.

3. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოები არიან:

ა) კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოები ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში;

ბ) საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების კომუნალური (ადგილობრივი) მეურნეობის განყოფილებანი (და ინსპექტორები).



4. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის და საქალაქო საბჭოების და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების კომუნალური მეურნეობის ორგანოების ურთიერთობა განისაზღვრება სათანადო დებულებებით აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების შესახებ.

5. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სათავეში სდგას საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი.

6. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს ჰყავს მოადგილე, მასთანვე მოეწყობა კოლეგია.

7. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის მდგომარეობა სახელმწიფო ორგანოების სისტემაში, აგრეთვე კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის, მისი მოადგილისა და კოლეგიის წევრების უფლება-მოვალეობანა განისაზღვრება საერთო დებულებით საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების შესახებ.

II. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის გამგებლობის ხაზები და ფუნქციები.

8. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ძირითად ამოცანებს ეკუთვნის:

ა) კომუნალური და საბინაო მეურნეობის განვითარების საკითხების შესწავლა;

ბ) ისეთი საკითხების შემუშავება, რაც განსაზღვრავს საქართველოს სსრ კომუნალური და საბინაო მეურნეობის განვითარების მიმართულებას (პოლიტიკას), კერძოდ რესპუბლიკის კომუნალურ-საბინაო მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების დაკავშირების საკითხების შემუშავება;

გ) ახალი ქალაქებისა და დაბების (სამუშე, საკურორტო და სააგარაკო) მშენებლობა და არსებულთა რეკონსტრუქცია;

დ) ქალაქებისა და დაბების გეგმაზე გადაღება, დაგეგმვა და აღნაგობა;

ე) საბინაო მეურნეობა და მშენებლობა;

ვ) არასამრეწველო მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიური რეგულირება;

ზ) წყლის მიწოდება და სისუფთავე;

თ) ენერგეტიული მეურნეობა (სხვათა შორის: ქალაქების და დაბების ელექტროფიკაცია, გაზოფიკაცია, თბოფიკაცია);

ი) მასიური მიმოსვლის საშუალებანი ქალაქებსა და დაბებში (ტრამვაი, ავტობუსები, ტაქსი, მდინარეებზე გადასასვლელი ადგილები და სხვა) და ქუჩებში მოძრაობის რეგულირება;

კ) საბინაო-სამრეცხველო საქმე;

ლ) საქალაქო საგზაო მეურნეობა (ქვაფენილები, ქუჩების გაყვანა, ხიდები და სხვა ხელოვნური ნაგებობა);

მ) საქალაქო საადგილმამულო და სატყუო მეურნეობა (სხვათა შორის: ბაღები, პარკები და მწვანე ნარგავიანი ადგილები);

ნ) საინჟინერო ნაგებობანი და სამელიორაციო სამუშაოები ქალაქებსა და დაბებში (მდინარეთა რეგულირება, საფუბრები, მეწყერთან ბრძოლა და სხვა);

ო) სავაქრო-სასაწყობო სადგომები და სავაქრო ადგილები;

პ) სასტუმროები და ლამის-სათვეი საზღები;

ჟ) სამარბი საქმე;

რ) სახანძრო დაცვა ქალაქად და სოფლად;

9. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგნებს შეადგენს:

მმართველობის სფეროში.

ა) შეიმუშაოს კომუნალური მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების აგე-
 მულობისა, სტრუქტურისა და შტატების საკითხები;

ბ) განახორციელოს ღონისძიებანი კომუნალური ორგანოების მუშაობის
 რაციონალიზაციისა და გაუმჯობესებისათვის;

გ) შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი მშრომელი მასების ფარ-
 თოდ ჩაბმისათვის კომუნალური და საბინაო მეურნეობის მმართველობაში, აგრეთ-
 ვე კომუნალური მეურნეობის ორგანოების მოქმედების კონტროლში;

დ) მისცეს დასკვნები დასახლებული ადგილების ერთი კატეგორიიდან
 სხვა კატეგორიაში გადარიცხვისა და სოფელ-ადგილების ქალაქის ფარგლებში
 ჩარიცხვის საკითხების შესახებ.

დაგეგმვის სფეროში.

ა) შეიმუშაოს და წარადგინოს არსებული წესისამებრ საბინაო მეურნე-
 ობისა და მშენებლობის ჯგულობითი, პერსპექტიული და წლიური (საოპერაციო)
 გეგმები და საკონტროლო ციფრები ყველა კატეგორიის მედუნაგეთათვის, დაინ-
 ტერესებული უწყებებისა და ორგანიზაციების საქმეში ჩაბმით;

ბ) შეიმუშაოს და წარადგინოს კუთვნილებისამებრ კომუნალური მეურ-
 ნეობისა და მშენებლობის პერსპექტიული და წლიური (საოპერაციო) გეგმები და
 საკონტროლო ციფრები დაბანდებათა ყველა წყაროს მიზედვით;

გ) შეადგინოს საბინაო და კომუნალური მეურნეობისა და მშენებლობის
 დაფინანსების ჯგულობითი გეგმები, კერძოდ — შეიმუშაოს ამ მშენებლობის და-
 კრედიტების გეგმები სსრკ-ის ცენტრალური კომუნალური ბანკისა და საქართვე-
 ლოს სსრ კომუნალური ბანკის ხაზით;

დ) გაუწიოს ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საბინაო
 და კომუნალური მშენებლობის გეგმების შესრულებას და შეადგინოს ჯგულობი-
 თი ანგარიში;

ე) გაუწიოს ხელმძღვანელობა კომუნალური მეურნეობის ადგილობრივი
 ორგანოების საგეგმო მუშაობას (ფორმებისა, სამრეწველო-საფინანსო გეგმებისა,
 სამშენებლო-საფინანსო გეგმების შედგენა და სხვ.).

შენიშვნა. მუშათა ბინათმშენებლობის პერსპექტიული და წლიური
 გეგმებისა, ამ მშენებლობის დაფინანსების გეგმებისა, აგრეთვე საბინაო და
 კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის გადადებული სახსრის გა-
 ნაწილების გეგმების შედგენას საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის
 სახალხო კომისარიატი განახორციელებს საქართველოს სსრ შრომის სახალ-
 ხო კომისარიატის მონაწილეობით.

ქალაქებისა და დაბების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ხფეროში.

ა) გაუწიოს გეგმიანი ხელმძღვანელობა არსებული ქალაქებისა და დაბების გადაკეთებას და ახალთა მშენებლობას სოციალისტურ პრინციპებზე;

ბ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა ქალაქებისა და დაბების დაგეგმვას და გეგმაზე გადაღებას;

გ) გაუწიოს საერთო რეგულირება ქალაქებისა და დაბების აღნაგობას;

დ) განიხილოს და წარადგინოს, არსებული წესისამებრ, დასამტკიცებლად ახალი ქალაქებისა და დაბების მშენებლობისა და არსებული რეკონსტრუქციის პერსპექტიული და წლიური გეგმები;

ე) შეიმუშაოს და წარადგინოს არსებული წესისამებრ დასამტკიცებლად ქალაქებისა და დაბების დაგეგმვისა და აღნაგობის ძირითადი დებულებები, წესები და ნორმები;

ვ) განიხილოს და წარადგინოს არსებული წესისამებრ დასამტკიცებლად ქალაქებისა და დაბების დაგეგმვის პროექტები;

ზ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა ქალაქებისა და დაბების გეოდეზიური სამსახურის მოწყობას;

თ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა და კონტროლი იმ ორგანიზაციების მოქმედებას, რომელნიც უშუალოდ განახორციელებენ ახალი ქალაქების მშენებლობას;

ი) მოაწიოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს იმ საპროექტო და საწარმოო დაწესებულებათ, საწარმოთ და ორგანიზაციათ (კონტორები, სააქციო საზოგადოებები, ტრესტები, ბიუროები და სხვ.), რომელნიც განახორციელებენ მუშაობას ქალაქებისა და დაბების დაგეგმვისა და გეგმაზე გადაღებისათვის.

საბინაო მეურნეობის ხფეროში.

ა) შეიმუშაოს საბინ-ო პოლიტიკის საფუძვლები და ხელმძღვანელობა გაუწიოს უმაღლესი ორგანოების დირექტივების გატარებას საბინაო მეურნეობისა და მშენებლობის ხფეროში, როგორც ქალაქად და სოფლად, ისე, კერძოდ, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში;

ბ) გაუწიოს ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა და კონტროლი არსებული საცხოვრებელი ფონდის ექსპლოატაციას;

გ) შეიმუშაოს საერთო ღონისძიებანი არსებული საცხოვრებელი ფონდის რეკონსტრუქციისათვის ყოფაცხოვრების განსაზოგადოების საფუძველზე;

დ) გაუწიოს რეგულირება მუშათა კლასის საინტერესოდ არსებულ სახლებში საცხოვრებელი ფართობის გამოყენებას დი ახალ სახლებში ჩასახლებაში;

ე) გაუწიოს საერთო რეგულირება საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სადგომებისა და შენობების ჭირას კანონით დადგენილ ფარგლებში;

ვ) განახორციელოს სახლის ბიუჯეტის ნორმალიზაცია;

ზ) გაუწიოს საერთო რეგულირება საბინაო მეურნეობის მმართველობის ფორმების საკითხებს;

თ) გაუწიოს ხელმძღვანელობა საცხოვრებელი ფონდის საბალანსო აღნუსხვის წარმოებას;

ი) წარმართოს ადგილობრივი კომუნალური ორგანიზაციის მოქმედება მშენებლობის სფეროში მშრომელთათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაწევად განსაზღვადოებული სექტორის სახლებში;

კ) გაუწიოს რეგულირება საბინაო-საიჯარო და საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის მოქმედებას;

ლ) ხელი შეუწყოს მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის განვითარებას;

მ) გაუწიოს ზედამხედველობა საბინაო მშენებლობისა და მეურნეობისათვის დანიშნული სახსრის სათანადოდ გამოყენებას;

ნ) გაუწიოს საერთო რეგულირება სასტუმროებისა და საავტოო-სასაწყობო სადგომების ექსპლოატაციას და მშენებლობას.

არასამრეწველო (საბინაო-ხამოქალაქო) მშენებლობის რეგულირების სფეროში.

ა) გაუწიოს ტექნიკური და ტექნიკურ-ეკონომიური რეგულირება არასამრეწველო მშენებლობას (ბინები, სკოლები, სააღმწიფოეები, საადმინისტრაციო შენობები, კლუბები, ბაგები, კინო და სხვ.), იმისდამიუხედავად, ვინ ანბორციელებს და აფინანსებს ამ მშენებლობას;

ბ) შეიმუშაოს და გამოსცეს არასამრეწველო მშენებლობის ტიპური პროექტები;

გ) დაამტკიცოს, დამტკიცებული ლიმიტების შესაბამისად, არასამრეწველო მშენებლობის პროექტები და შეათანხმოს ზელიმეტური პროექტები; განიბილოს საუწყებო წესით დასამტკიცებელი არასამრეწველო მშენებლობის პროექტები;

დ) შეიმუშაოს და გამოსცეს არასამრეწველო მშენებლობის შესახები ნორმები, წესები, ინსტრუქციები და სავალდებულო დადგენილებები და შეიმუშაოს ამავე მშენებლობის ლიმიტები; აგრეთვე ზედამხედველობა გაუწიოს მათ აღსრულებას;

ე) მოაწყოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს საცდელ საბინაო მშენებლობას;

ვ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა და დახმარება სასტანდარტო საბინაო მშენებლობას;

ზ) შეიმუშაოს ლონისძიებანი საბინაო და სხვა სახის არასამრეწველო მშენებლობის გასაიფებლად და თვისების გასაუმჯობესებლად;

თ) გაუწიოს ხელმძღვანელობა ცეცხლ-სეისმომძლე მშენებლობას;

ი) მოაწყოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს საპროექტო და სამშენებლო კონტორებს საბინაო და სხვა სახის არასამრეწველო მშენებლობისათვის და აგრეთვე შეიმუშაოს საერთო ლონისძიებანი ამ მშენებლობის ორგანიზაციის მოწესრიგებისათვის;

კ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა კერძო ბინათმშენებლობას.

კომუნალური კეთილმოწყობის სფეროში.

ა) შეიმუშაოს საერთო ღონისძიებანი რესპუბლიკის დასახლებული ადგილების კეთილმოწყობის წარმატებისათვის;

ბ) გაუწიოს ხელმძღვანელობა დასახლებულ ადგილებში ახალ წყალმიწოდებულ და გამწმენდ გამართულობათა მშენებლობას და არსებულთა ექსპლოატაციას;

გ) გაუწიოს ხელმძღვანელობა ქალაქებში მასიური მიმოსვლის საშუალებათა (ტრამვაი, ავტობუსები, ტაქსი და სხვ.) განვითარებას და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის გაუმჯობესებას;

დ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა სააბანო-სამრეცხველო საქმეს;

ე) შეიმუშაოს ღონისძიებანი ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ენერგეტიული მეურნეობის განვითარებისათვის (ელექტროფიკაცია, თბოფიკაცია და გაზოფიკაცია) და აგრეთვე ღონისძიებანი საყოფაცხოვრებო სფეროში ელექტროენერჯის გამოყენების შეთანერგვისათვის;

ვ) განახორციელოს ღონისძიებანი ქალაქებში და დაბებში საგზაო-საქვაფენილო მეურნეობის განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის;

ზ) გაუწიოს ტენიკურ-ეკონომიური რეგულირება საქალაქო მიწების ფარგლებში განახორციელებულ საინჟინერო ნაგებობათა (მდინარეთა რეგულირება, მწვეწროთან ბრძოლა, სამელოროაცხო საშუშაოები, წყალსადინარები და სხვ.) და დაამტკიცოს საამისო პროექტები;

ო) გასწიოს საერთო რეგულირება კომუნალური მომსახურების ტარიფებისა;

ი) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა სამიწისქვეშეთო ნაგებობათა მოწყობას.

ხადვლიმამულო მეურნეობისა და გარეგანი კეთილმოწყობის სფეროში.

ა) განახორციელოს საერთო ღონისძიებანი მიწების და ტყის მასიეებით ქალაქებისა და დაბების უზრუნველსაყოფად;

ბ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა საქალაქო მიწებზე მიწათმეურნეობის მოწყობას;

გ) ხელი შეუწყოს საქალაქო მიწებზე ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ბოსტნებისა, ბაღებისა, ვენახებისა და სხვ.) განვითარებას;

დ) განახორციელოს ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს საქალაქო მიწათსარგებლობის განსახოგადოებულ ფორმების განვითარებას;

ე) გაუწიოს საერთო რეგულირება მიწის ნაკვეთების საიჯარო ქირისა ქალაქებსა და დაბებში;

ვ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა კომუნალური მეურნეობის ადგილობრივ ორგანოების მოქმედებას ქალაქებისა და დაბების გამწვანებისა, საბალ-საპარკო მეურნეობის წარმოებისა კულტურისა და დასვენების პარკების მოწყობისა და ქუჩების განათების სფეროში;

ზ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა სამარხი საქმის ორგანიზაციის (კრემატორიუმის აგება და სხვ.)

სახანძრო დაცვის სფეროში.

ა) გაუწიოს ხელმძღვანელობა, კონტროლი და ზედამხედველობა სახანძრო დაცვის მდგომარეობას რესპუბლიკაში;

ბ) გაუწიოს უშუალო ხელმძღვანელობა, კონტროლი და ზედამხედველობა კომუნალური, საუწყებო და საზოგადოებრივი სახანძრო ორგანიზაციების მოქმედებას და შეთანხმოს ამ ორგანიზაციების მუშაობა;

გ) გაუწიოს საერთო კონტროლი გამხედროებულ სახანძრო დაცვას;

დ) შეიმუშაოს სახანძრო ღონისძიებათა საერთო-სახელმწიფოებრივი გეგმა და გაუწიოს ხელმძღვანელობა ამ გეგმის განხორციელებას;

ე) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა ცეცხლის ავტომატურად ჩაქრობის საქმეს, სახანძრო სიგნალიზაციას და სხვა სახის სახანძრო გაწყობილობას; აგრეთვე გაუწიოს ზედამხედველობა და კონტროლი მათ სათანადო მდგომარეობას;

ვ) განახორციელოს სახანძრო ინვენტარისა, გაწყობილობისა და მომარაგების ნორმალიზაცია და გაუწიოს ზედამხედველობა საწარმოებულ და სახმარად გამოსაშვებ გაწყობილობის თვისებას;

ზ) გამოსცეს სახანძრო დაცვის ნორმები სახანძრო ინვენტარისა, გაწყობილობისა და მომარაგების დარგში;

თ) აწარმოოს ხანძართან ბრძოლის ცნობების ფართო პოპულარიზაცია მოსახლეობაში და ხელი შეუწყოს სახანძრო-სატეხნიკო ლატერატურის გამოცემას;

ი) ხელი შეუწყოს სათანადო დაწესებულებებს, რათა მათ განახორციელონ საერთო-სახელმწიფოებრივი ხასიათის ღონისძიებანი ცეცხლმსვე მშენებლობისა და ქალაქებისა, სოფლებისა, კოლექტორ მურწეობებისა და საბჭოთა მურწეობებისათვის წყლის მიწოდების საქმეში.

საშენი მასალით და გაწყობილობით მომარაგების სფეროში.

ა) გამოარკვიოს კომუნალური და საბინაო მურწეობისა და მშენებლობის მოთხოვნილებანი საშენი მასალისა და გაწყობილობისა და წარუდგინოს მრეწველობას სათანადო განცხადება;

ბ) ვაინაწილოს გეგმიანად საშენი მასალა და გაწყობილობა კომუნალური და საბინაო მურწეობისა და მშენებლობის საჭიროებათათვის განსაზღვრული ფონდების ფარგლებში;

გ) გასწიოს რეგულირება ნაგებმავე საშენი მასალის და გაწყობილობის გამოყენებისა და გარდაინაწილოს იგი საქართველოს სსრ კომუნალური მურწეობის სახალხო კომისარიატის ხაზით გამოყოფილი ფონდების ფარგლებში;

დ) აღწესდეს და კონტროლი გაუწიოს რეგულირებული საშენი მასალისა და გაწყობილობის რაციონალურად გამოყენებას და ხარჯვას;

ე) შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი უაღრესად დეფიციტიანი საშენი მასალის ნაცვლად ნაკლებად დეფიციტიანი მასალის გამოყენებისათვის;

ვ) დაგეგმოს ყველა მომხმარებლის მოთხოვნილებანი სახანძრო გაწყობილობის საგნებისა და გეგმიანად ვაინაწილოს მთელი გაწყობილობა დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის;

ზ) შეიმუშაოს ღონისძიებანი ადგილობრივი საშენი მასალის წარმოების განვითარებისათვის კომუნალური მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების სისტემაში.

შრომისა და მუშა-ძალის სფეროში.

ა) გამოარკვიოს კომუნალური და საბინაო მეურნეობისა და მშენებლობის, სხვათა შორის საბინაო კოოპერაციის, მოთხოვნილებანი უმაღლესი, საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის მუშა-ძალის კადრებისა და შეადგინოს ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გეგმები;

ბ) მოაწყოს კადრების მომზადება კომუნალური და საბინაო მეურნეობისა და მშენებლობისა და სახანძრო დაცვის საჭიროებისათვის;

გ) გაუწიოს ხელმძღვანელობა კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ქვემდებარე სასწავლებლების მოქმედებას (მათი მუშაობის საერთო მიმართულება, ბიუჯეტების დამტკიცება, ხელმძღვანელთა დანიშვნა, სასწავლო გეგმებისა, პროგრამებისა და სხვ. დამტკიცება);

დ) გაანაწილოს გეგმიანად სპეციალისტები, რომელნიც საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სასწავლებლებს ამთავრებენ;

ე) მოამზადოს, აღწუსხოს და გაანაწილოს კომუნალურ დარგში მომუშავეთა ხელმძღვანელი სამეურნეო კადრები;

ვ) შეიმუშაოს ღონისძიებანი კომუნალურ და საბინაო მეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლისათვის;

ზ) შეიმუშაოს ღონისძიებანი შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის კომუნალურ და საბინაო მეურნეობაში;

თ) ხელი შეუწყოს მუშათა გამომგონებლობას და ხელმძღვანელობა გაუწიოს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ადგილობრივი ბიუროების მოქმედებას.

აღწესხვისა და სტატისტიკის სფეროში.

ა) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა აღწესხვისა და ანგარიშების საქმის დაყენებას კომუნალურ და საბინაო მეურნეობებში;

ბ) დაამყაროს საბუხპალტერო და სასტატისტიკო აღწესხვისა და ანგარიშების წესები და ფორმები კომუნალურ და საბინაო მეურნეობაში და მშენებლობაში;

გ) აწარმოოს სტატისტიკური და ექონომიური გამოკვლევანი კომუნალური და საბინაო მეურნეობის სფეროში;

დ) აღწუსხოს საქართველოს სსრ დასახლებული ადგილები; შექარიფოს, დაასისტემოს და დაამუშაოს ცნობები ქალაქებისა და დაბების მდგომარეობის და განვითარების შესახებ;

ე) მოაწყოს და წარმართოს საკონიუნქტური დაკვირვებანი კომუნალურ და საბინაო მეურნეობისა და მშენებლობის სფეროში;

ვ) ხელმძღვანელობა გაუწიოს კომუნალური ქონებისა და საერთო სარგებლობის ქონების ინვენტარიზაციის ჩატარებას, ვის გამგებლობაშიაც უნდა იყოს ეს ქონება, და აგრეთვე განსაზოგადოებული და კერძო მფლობელობის საბინაო ფონდების ინვენტარიზაციას.



III. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის უფლებანი.

10. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი-სათვის დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად მას უფლება აქვს:

ა) შეიმუშაოს და წარუდგინოს საკანონმდებლო ორგანოებს დადგენილებების პროექტები იმ საკითხების შესახებ, რაც შეადგენს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანს;

ბ) შეიმუშაოს და გამოსცეს დადგენილებები, ცირკულარები, ინსტრუქციები, წესები და სხვა საუწყებო აქტები თავისი კომპეტენციის საკითხების გამო, კერძოდ საეკონომიკური დადგენილებანი და განკარგულებანი არასამრეწველო მშენებლობის შესახებ;

გ) შეაჩეროს, შესცვალოს და გააუქმოს კომუნალური მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების დადგენილებანი და განკარგულებანი, უკეთუ არ შეესაბამებიან კანონს ან კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დირექტივებსა და განკარგულებებს;

დ) განკარგოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ყველა სახსარი და კრედიტი;

ე) მოაწყოს, დადგენილი წესისამებრ, სამშენებლო და საპროექტო კონტორები, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების შენაერთები და სხვა სამეურნეო ორგანიზაციები კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის მიერ საგვემავი მეურნეობისა და მშენებლობის დარგებისათვის და ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ მუშაობას;

ვ) მოაწყოს, დადგენილი წესისამებრ, სასწავლებლები, კურსები, სკოლები და სხვ., კომუნალურ დარგში მომუშავეთა კადრების მოსამზადებლად, და ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ მოქმედებას;

ზ) მოაწყოს, სპეციალური კანონების საფუძველზე, განსაკუთრებული ფონდები და კაპიტალები კომუნალური და საბინაო მეურნეობისათვის და განკარგოს ეს ფონდები და კაპიტალები;

თ) გამოიკვლიოს ადგილობრივი კომუნალური ორგანოები და აგრეთვე ცალკეული კომუნალური საწარმონი და მათი შენაერთანი და ინსპექტირება გაუწიოს მათ;

ი) დამატკიცოს თანამდებობაზე სახანძრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სათანადო საბჭოსთან და დაწესებულების მეთაურთან შეთანხმებით;

კ) მოიწვიოს, დადგენილი წესისამებრ, კომუნალურ დარგში მომუშავეთა სრულიად საქართველოს ყრილობები.

IV. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა.

11. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს აქვს შემდეგი დანაყოფები:

1. საგვემო-ეკონომიური სექტორი;

2. სამშენებლო-სატეხნიკო სექტორი:
 - ა) კომუნალური ჯგუფი;
 - ბ) საბინაო ჯგუფი;
 - გ) საინჟინერო ნაგებობათა ჯგუფი;
 - დ) მომარაგების ჯგუფი.
3. აღნუსხვისა და სტატისტიკის სექტორი;
4. კადრების სექტორი;
5. საორგანიზაციო-საინსპექტორო სექტორი;
6. ცენტრალური სახანძრო განყოფილება;
7. საქმეთა მმართველობა;
8. სპეციალური სექტორი.

12. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის მიერ დასამტკიცებელი არასამრეწველო მშენებლობის ტეხნიკური პროექტების განსახილველად და ქალაქების დაგეგმვის პროექტების განსახილველად და დასამტკიცებლად, აგრეთვე ძირითადი ტეხნიკური და ეკონომიური პრობლემების შესახებ კონსულტაციის მოსაწყობად და დასკვნების მისაცემად როგორც არსებული, ისე ახალი ინდუსტრიული და აგარული ქალაქებისა და დაბების მშენებლობისა, რეკონსტრუქციისა და დაგეგმვის სფეროში, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან არსებობს სამეცნიერო სატეხნიკო საბჭო, რომელიც მოქმედობს განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

13. დასახლებული პუნქტების საგეგმავი და გადასაგეგმავი სამუშაოების საწარმოებლად, არასამრეწველო მშენებლობისათვის საქირო სამშენებლო სამუშაოების საპროექტებლად და საწარმოებლად, დასახლებული ადგილების წყლით მომარაგებისთვის წყაროების საძიებლო და საკვლევ სამუშაოების საწარმოებლად, წყალსადენებისა და კანალიზაციის საპროექტებლად და საშენი მასალით და გაწყობილობით არასამრეწველო მშენებლობის მოსამარაგებლად—კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს შეუძლიან მოაწყოს, საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს ნებართვით, სპეციალური ტრესტები, რომელნიც მოქმედობენ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული წესდებების თანახმად.

14. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა და მასთან არსებული დაწესებულებების შტატები დაწესდება საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

235. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების სახლებიდან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში არმყოფ პირთა გამოსახლების თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარიატის საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

„სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების სახლებიდან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში არმყოფ პირთა გამოსახლების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარიატის საბჭოს 1931 წლ. აგვისტოს 17-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 53 №-ი, მუხ. 342) პრაქტიკული განხორციელებისათვის და აღნიშნული სახლებიდან გამოსახლებულ მშრომელთა კატეგორიის პირების მოსათავსებლად საქირო საცხოვრებელი ფართობის მიღებისათვის—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენენ:

I.

1. უფლება მიეცეს საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს მიაქციონ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 20-ის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 5 და მე-18 №-ი, მუხ. 191) გათვალისწინებულ კომუნალურ საბინაო ფონდში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით საცხოვრებლად ვარგისი ფართობი კერძო მფლობელობის ყველა იმ სახლში, სადაც ოთხ ოთახზე მეტია.

2. შეიკრებულ იქნეს 1932 წლის იანვრის 1-მდე მოქმედება:

ა) საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა წესდებების იმ ნაწილისა, რაც ეხება ამხანაგობის წევრთა და აგრეთვე მუშათა და მოსამსახურეთა უფლებას მიიღონ ამხანაგობათა მიერ იჯარით აღებულ სახლებში განთავსდნენ უფლებიანი საცხოვრებელი ფართობი;

ბ) სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156¹ მუხლისა (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-14 №-ი, მუხ. 157), რომელიც ეხება მშრომელთა უფლებას გაუცვალონ ერთმანეთს საცხოვრებელი ფართობი როგორც ერთი და იმავე ქალაქისა და საგარეუბნო რაიონების ფარგლებში, ისე სხვადასხვა ქალაქებში.

3. 1932 წლის იანვრის 1-დღე გამოკვეთულ იქნეს და ჩამოირთვას ყველა ის ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი, რაც „ბინებში იძულებით შექმნილობისა და გადასახლების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1930 წ. მარტის 11-ის დადგენილების მე-2, 3 და 4 მუხლების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 81), შეიძლება ჩამოერთვას დაშქირავებულ ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში (რომელთა ექსპლოატაციასაც ეწევიან უშუალოდ ადგილობრივი საბჭოები

და რომლებიც იჯარით აღებული აქვთ საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ნაგობათ და კერძო პირთ) და აგრეთვე კერძო მფლობელობის იმ სახლებში, სადაც საცხოვრებელი ოთახი ოთხზე მეტია, და ეს ამ უკანასკნელ სახლებში ჩამორთმეული ფართობი ჩაირიცხოს კომუნალურ საცხოვრებელ ფონდში.

ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის გამოჩვენება დაეკისროს:

ა) ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში (რომელთა უშუალო ექსპლოატაციასაც ადგილობრივი საბჭოები ეწყვიან)—ამ სახლების ადმინისტრაციას;

ბ) საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ იჯარით აღებულ სახლებში—ამ ამხანაგობათა გამგეობებს;

გ) კერძო მფლობელობის სახლებში და აგრეთვე კერძო პირების მიერ იჯარით აღებულ მუნიციპალიზებულ სახლებში—ადგილობრივი საბჭოების კომუნალური მფლობელობის ორგანოებს, ხოლო ქალ. ტფილისში ამა დადგენილების მე-7 მუხლით გათვალისწინებულ სპეციალურ სარაიონო კომისიებს.

გამორკვეული ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევა მოხდება სასამართლო წესით ამა მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნული ორგანოების სარჩელით.

4. მთლად ის ფართობი, რაც ჩამორთმევა ზემოდ გათვალისწინებული წესისამებრ, აგრეთვე მთლად ის ფართობი, რაც განთავისუფლდება იმის გამო, რომ ამ ფართობზე მცხოვრები პირნი გადასახლებიან საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ აგებულ ახალ სახლებში, გამოყენებულ უნდა იქნეს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის ორგანოების სახლებიდან გამოსახლებულ მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა კატეგორიის მშრომელთა მოსათავსებლად და ამ ფართობზე დასახლება უნდა მოხდეს მხოლოდ საჭალაქო საბჭოებისა და სარაიონო ადმინისტრაციული კომიტეტების ორდერებით, ქალ. ტფილისში-კი ამა დადგენილების მე-7 მუხლში აღნიშნული ცენტრალური კომისიის ორდერებით.

5. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების სახლებიდან გამოსახლებულ მუშათა და მოსამსახურეთ და აგრეთვე მშრომელთა სხვა კატეგორიებს უნდა მიეცეს სანიტარული მხრით საცხოვრებლად ვარგისი ისეთი სივრცის ფართობი, რაც გამოსახლებულ პირს გამოსახლების მომენტში ფაქტიურად უჭირავს, ხოლო არა უმეტეს ამა თუ იმ ადგილს სამხედრო უწყების სახლებში არსებულ საშუალო ფაქტიური საცხოვრებელი ნორმისა.

6. უკეთეს მუშათ, მოსამსახურეთ და სხვა კატეგორიის მშრომელთ მიეცათ ამა დადგენილების მე-5 მუხლით გათვალისწინებული სივრცის საცხოვრებლად ვარგისი ფართობი, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების სახლებიდან საადმინისტრაციო წესით გამოსახლება შეიძლება ისე რომ ეს გამოსახლებულ პირს ეცნობოს არანაკლებ ვიდრე 5 დღით ადრე.

7. წინადადება მიეცეს ტფილისის საჭალაქო საბჭოს—ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა ქ. ტფილისში განსახორციელებლად—მოაწყოს სარაიონო კომისიები, რომლებიც იმოქმედებენ ცენტრალური კომისიის საერთო ხელმძღვანელობით; ეს უკანასკნელი კომისია მოეწყობა საჭალაქო საბჭოს თავმჯდომარის ან მისი

მოადგილის თავმჯდომარეობით; ყველა აღნიშნული კომისიის შედგენილობაში შევა სამხედრო უწყების თითო წარმომადგენელი.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს:

ა) დაავალოს სახალხო სასამართლოებს—ყველა ის საქმე საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევის თაობაზე, რაც აღიძვრის ამა დადგენილების წესისამებრ, ან რაც აღძვრულია ამა დადგენილების გამოცემამდე, განიხილოს რიგს ვარეშე; ამასთანავე, ახლად შესული საქმე—სამი დღის განმავლობაში დღიდან საქმის მიღებისა;

ბ) დაუყოვნებლივ იხმაროს საორგანიზაციო ღონისძიებანი (სახალხო სასამართლოების განსაკუთრებული სესიების გამოყოფა და სხვ.) ამა მუხლის „ა“ პუნქტ. მოთხოვნის ნამდვილად განხორციელებისათვის.

9. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში საკასაციო განსაჩივრების ვადების შესახებ არსებული საერთო წესების გამონაკლისად დადგენილი იქნეს 5 დღის ვადა მე-8 მუხლის „ა“ პუნქტ. აღნიშნული საქმეების გამო სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა საკასაციო წესით განსაჩივრებისათვის.

10. ინსტრუქციების გამოცემა და განმარტების მიცემა ამა დადგენილების შეფარდებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს.

11. მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ სასწრაფო წესით საჭირო ღონისძიებანი სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1931 წ. აგვისტოს 17-ის, დადგენილების განხორციელებისათვის ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

II.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების სახლებიდან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში არპოფ პირთა გამოსახლების შესახებ“ გამოცემული ზემოაღნიშნული, 1931 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 53 №-ი, მუხ. 342) და ამა დადგენილების I-ლი კარის შესაბამისად საქართველოს სსრ კანონმდებლობაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექტემბრის 26-ის დეკრეტში „საცხოვრებელი სადგომების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1923 წ. მე-2 №-ი, მუხ. 20):

ა. მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

| 5. მუშა-მოსამსახურეთა ბინის საჭიროების დასაკმაყოფილებლად ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება მიეცეთ: |

ა) აიღონ აღნუსხეაზე იმ სახლებში, სადაც ოთხ ოთახზე მეტია, საცხოვრებლად ვარგისი სივრცის: ტფილისში არა უმეტეს 33%-სა, ბათუმში და ფოთში არა უმეტეს 25%-ისა და დანარჩენ ქალაქებში არა უმეტეს 15%-ისა“.

ბ. დაემატოს მე-6¹ მუხლის შემდეგი შენიშვნისა:

„6¹. მთლად ის საცხოვრებელი სივრცე, რაც განთავისუფლდება მუნიციპალური ფონდის სახლებში, მუშათა და ვლესთა წითელი არმიის თავმჯდომთა საკადრო შედგენილობის პირთა და მათთან მცხოვრებ მათი ოჯახის წევრთა სხვაგან წასვლის გამო, გადავა გარნიზონების უფროსთა განკარგულებაში და დასახლებულ იქნება ამ უკანასკნელთა განკარგულებით“.

ჟ. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მარტის 20-ის დეკრეტში „მოქალაქეთა მიერ დაპერილი სადგომებიდან მათი აღმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ“ (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართი—საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-ი, მუხ. 53):

ა. მე-4 მუხლის „ე“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-18 №-ი, მუხ. 187) გაუქმებულ იქნეს.

ბ. მე-4 მუხლის მეორე ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-18 №-ი, მუხ. 187) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ამა მუხლის „ა“ „ბ“ და „ვ“ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საადმინისტრაციო წესით გამოსახლების საფუძვლად შეიძლება იყოს მხოლოდ ის გარემოება, რომ გამოსახლებულმა პირმა დაჰკარგა ან მას აღარ აქვს კავშირი მუშაობისა თუ სამსახურის სფეროში იმ უწყებასა, დაწესებულებასა თუ საწარმოსთან, რომელსაც უჭირავს სახლი ან სადგომი“.

გ. მე-6 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-18 №-ი, მუხ. 187) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. გამოსახლების დროს მისაცემი საცხოვრებელი სივრცე უნდა იყოს: ა) არა ნაკლებ უწყებულ ადგილას დაწესებული საბინაო-სასანიტარო ნორმისა, და ბ) სანიტარული მხრით საცხოვრებლად ვარგისი; მისაცემი სივრცის ვარგისობა სანიტარული მხრით, უკეთეს გამოსახლებული პირი პროტესტს განაცხადებს, უნდა დაადასტუროს საბინაო-სასანიტარო ინსპექციამ“.

(მე-6 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს).

დ. მე-11¹ მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-15 №-ი, მუხ. 177) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„11¹. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების სახლებიდან იმ პირთა საადმინისტრაციო წესით გამოსახლება, რომელნიც მუშათა და ვლესთა წითელი არმიის რიგებში არ იმყოფებიან, მოხდება სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 53 №-ი, მუხ. 342)“.

ჟ. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში „ბინებში

იძულებითი შემკვიდროებისა და გადასახლების შეზღუდვის შესახებ* (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 81):

მე-5 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-18 №-ი, მუხ. 187) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„5. ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში, სადაც საცხოვრებელი სივრცე მიცემული აქვთ ამ სახლებში მოთავსებული დაწესებულების და საწარმოს თანამშრომელთ, მათი მუშაობისა თუ სამსახურის ხასიათის მიხედვით, სახელმწიფო დაწესებულებაზე და მის თანაბარ დაწესებულებაზე და საწარმოზე არსებული წესისამებრ მიმავრებულ სახლებში და სამანერო ფონდის სახლებში, ზედმეტი საცხოვრებელი სივრცის ჩამოსართმევად, რათა ეს სივრცე გამოყენებულ იქნეს დაწესებულებისა და საწარმოს საჭიროებისათვის ან მიეცეს საცხოვრებლად თუ სამუშაოდ ამ დაწესებულებისა და საწარმოს თანამშრომელთ, ხოლო სამანერო ფონდის სახლებში, საერთოდ, განთავისუფლებული საცხოვრებელი სივრცის მიზანშეწონილად გამოყენებისათვის, შეიძლება იძულებითი შემკვიდროება ზედმეტი ოთახის ჩამორთმევით, ბინის გადაკეთებით ან გადასახლებით იმავე სახლის ფარგლებში, იმ პირობით-კი, რომ შემკვიდროებულ პირს მიეცეს შემამკვიდროებელი დაწესებულების თუ საწარმოს ანგარიშზე სხვა სათანადოდ გამოსაყენებელი და მოხერხებელი ბინა, რომლის საცხოვრებელი ფართობი არ უნდა იყოს უწყველად აღდგენილ ნორმაზე ნაკლები.“

იძულებითი შემკვიდროებას და გადასახლებას ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მოახდენს საადმინისტრაციო წესით მილიციის ორგანო იმ დაწესებულებისა თუ საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოს განცხადების თანახმად, რომელზედაც მიმაგრებულია სახლი*.

იმავე მუხლის 1, 2 და 3 წინაწინები ძალაში დარჩეს.

4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 20-ის დადგენილებაში „კომუნალური საბინაო ფონდის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 5):

მე- მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„9. კომუნალურ საბინაო ფონდში საცხოვრებელი ფართობის საპროცენტო ნორმის გადარიცხვის მოვალეობა არა ვრცელდება აღნაგობის უფლების საფუძველზე აგებულ, აღდგენილ, შენება-დამთავრებულ და დაშენებულ სახლებზე და აგრეთვე კერძო მფლობელობის ისეთ სახლებზე, რომლებშიაც ოთხზე მეტი საცხოვრებელი ოთახი არ არის*.“

6. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 15-ის თარიღისა და 98 №-ის დადგენილება „ქალაქად მდებარე სახლებში საშხედრო უწყებისათვის საცხოვრებელი სივრცის მიკუთვნების შესახებ საშხედრო მსახურთა და მათ ოჯახთა საბინაო საჭიროების დასაკმაყოფილებლად“ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. 11 №-ი, მუხ. 157).

6. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ.



ავგისტოს 18-ის დადგენილება „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თავმჯდომე-
თა საკადრო შედგენილობის საბინაო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა
შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-18 №-ი, მუხ. 187).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. შვალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრაია.

1931 წ. ოქტომბრის 23.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 247 №-ში 1931 წ. ოქტომბრის 25.

236. დადგენილება ს. კ. ს.

სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაში მუდმივ სამუშაოდ წარგზავნილი კვა-
ლიფიური მუშებისა და საინჟინერო-სატექნიკო პერსონალიზაციის წინანდელ
საცხოვრებელ ადგილას საცხოვრებელი ფართობის შენარჩუნების შესახებ.

„სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაში მუდმივ სამუშაოდ წარგზავნილი
კვალიფიციური მუშებისა და საინჟინერო-სატექნიკო პერსონალისათვის წინან-
დელ საცხოვრებელ ადგილას განსაზოვადობული სექტორისა და კერძო მფლო-
ბელობის სახლებში ერთი წლის განმავლობაში საცხოვრებელი ფართობის შე-
ნარჩუნების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ.
ივლისის 8-ის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომი-
სართა საბჭო აღგენს:

იმ კვალიფიციურ მუშებსა და საინჟინერო-სატექნიკო პერსონალს (ათის-
თავების ჩათვლით), რომელნიც მუდმივი მუშაობისათვის წარგზავნილიან სტა-
ლინგრადის სატრაქტორო ქარხანაში, შეენარჩუნებთ წინანდელ საცხოვრებელ
ადგილას ერთი წლის განმავლობაში საცხოვრებელი ფართობი, იმ საფუძვლებზე,
რაც დადგენილია სადამკერელო მშენებლობებზე სამუშაოდ გაწვეული მომუშა-
ვეებისათვის საცხოვრებელი ფართობის შესანარჩუნებლად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. შვალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი პ. ტყაბლაძე.

1931 წ. ოქტომბრის 24.

ტფილისი.



შინადასახეობა

237. დადგენილება ს. კ. ს.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან კოლექტიურ მეურნეობათა მებაბრეშუმეობისა და თუთის ხის ხრალის შემოსავლის განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I

განთავისუფლებულ იქნეს 1931 წელს მთლად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან კოლექტიურ მეურნეობათა მებაბრეშუმეობისა და თუთის ხის ხრალის შემოსავალი.

II

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, „1931 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 18-ის დადგენილების მე-12 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-7 №-ი, მუხ. 72) დაემატოს პუნქტი „ვ“ შემდეგი შინაარსისა:

[12. ტენიკური კულტურებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების განვითარების მიზნით კოლექტიურ მეურნეობებს ეძლევათ შემდეგი შეღავათები:.....]

„ვ) მებაბრეშუმეობის შემოსავალი და თუთის ხის ხრალის შემოსავალი განთავისუფლება მთლად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან“.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

ს. კ. ს.-ის საქმეთა მმართველი ბ. ტყაბლაძე.

1931 წ. ოქტომბრის 13.
ტფილისი.

სოციალურ-კულტურული წყობილება

238. დადგენილება ს. კ. ს.

სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების დეკადის (ათლიურის) ჩატარების შესახებ.

სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების მატერიალურ სახსართა გაძლიერებისა და მისი იდეებისა და ამოცანების პოპულარიზაციის მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებას შოაწყოს საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე

სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების დეკადა (ათდღიური) 1931 წლის ოქტომბრის 21-დან 30-მდე (ამ რიცხვის ჩათვლით) ამა დადგენილების ქვემომდევნო მუხლებში აღნიშნულ საფუძველზე.

2. აღნიშნული დღეების განმავლობაში სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებას შეუძლიან:

ა) შეაგროვოს სამი დღის განმავლობაში—21-23 ოქტომბერს—ყულაბები და ფული ქუჩებსა, საჯარო ადგილებსა და სახელმწიფო დაწესებულებათა სადგომებში და აგრეთვე შეპკირიფოს ხელმოსაწერი ფურცლებით შეწირულება სხვადასხვა დაწესებულებასა და საწარმოში;

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები საზოგადოების მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენოს საზოგადოებრივი აუდიტორიები, კინო-თეატრები და რადიო-გადაცემა.

3. დაწესებულ იქნეს აღნიშნული დღეების განმავლობაში, 21-23 ოქტომბერს სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების სასარგებლოდ სპეციალური გამოსაღები ვასართობსა და სანახობაზე (თეატრი, კონცერტი, ცირკი, კინო, ბილიარდი) ბილეთის ფასის 10%-ის რაოდენობით.

ამა მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდევინებულ უნდა იქნეს სანახობისათვის დაწესებული ადგილობრივი ვადასახადის გარეშე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრაია.

1931 წ. ოქტომბრის 9.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტის“ 237 №-ში 1931 წ. ოქტომბრის 14.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

239. დადგინილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სიბინაო კოოპერატიულ ამხანაგობებთან და სახელმწიფო და მუნიციპალურ სახლებში არსებულ საამხანაგო სასამართლოების შესახებ.

რათა მშრომელთა ფართო მასები, საზოგადოებრივი თვითმკვიდრების სახით, მტკიცედ ჩაებნენ სახელმწიფო, მუნიციპალურ და კოოპერატიულ სახლებში დაჭერილი სადგომების მოუღვლეობასთან ბრძოლაში და აგრეთვე რათა საბინაო კონფლიქტებისა და ძველი ყოფაცხოვრების ნაშთების (შეურაცხყოფა, ზუღიგნობა, ქურდობა და სხვ.) ნიადაგზე აღძრული საქმეები სწრაფად წყდებოდეს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

1. საბინაო-საიჯარო და საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობებთან, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და საქალაქო საბჭოთა კუთვნილ სახლებში მოეწყოს საამხანაგო სასამართლოები.

2. საამხანაგო სასამართლოები მოეწყობა საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობებთან და სახელმწიფო და მუნიციპალურ სახლებში, უკეთეს მათში ასაკოვანი მოსახლეობა 100 სულზე ნაკლები არ არის.

შენიშვნა. უკეთეს საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობაში ან სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და საქალაქო საბჭოთა სახლებში ასაკოვანი მოსახლეობა 100 სულზე ნაკლებია, ასეთი ამხანაგობების ან სახლების მოსახლეობა შეერთდება საამხანაგო სასამართლოების მოსაწყობად.

3. საამხანაგო სასამართლო აირჩევა ერთი წლის ვადით საბინაო კოოპერატიული ამხანაგობის ან სახელმწიფო თუ მუნიციპალური სახლის იმ მდგმურთა საერთო კრებაზე, რომელთაც საბჭოთა საარჩევნო უფლება აქვთ; საამხანაგო სასამართლოს შეადგენენ: თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და ათზე არანაკლები წევრი. საამხანაგო სასამართლოს წევრთა რიცხვს განსაზღვრავს სახლის ან საბინაო ამხანაგობის მდგმურთა საერთო კრება მათი რაოდენობის მიხედვით და იმ ვარაუდით, რომ ასაკოვანი მოსახლეობის ყოველ ას სულზე მოდიოდეს საამხანაგო სასამართლოს 10 წევრი; საამხანაგო სასამართლოს წევრთა საერთო რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 25 კაცს. საამხანაგო სასამართლოს წევრად არ შეიძლება არჩეულ იქნეს საბინაო კოოპერატიული ამხანაგობის გამგეობის წევრი და სახლის სამოურაოს წარმომადგენელი.

4. საამხანაგო სასამართლოს დაეკისრება განიხილოს შემდეგი საქმეები:

ა) მდგმურის მიერ ბინისა და აგრეთვე თავისი ფართობის მოუვლელობა (სათბობი მოწყობილობის გაფუჭება, აბაზანებისა და წყალსაქცევეების ნავთი ამოხორცა, ბინაში თეთრეულის ვაშრობა და სხვ.);

ბ) საცხოვრებლად დაქვრივლ გასაღებელ ოთახზე გავლის წესის დამყარება;

გ) ბინაში საერთო სარგებლობისათვის გამოსადეგი არასაცხოვრებელი ფართობის (სამზარეულო, ღერეფანი, აბაზანა და სხვ.) გამოყენების წესის დამყარება;

დ) სახლში სასამხატურო სადგომების (სარაია, სარდაფი და სხვ.) და აგრეთვე ეზოს და ბაღის სარგებლობის წესის დამყარება;

ე) ბინაში შინა-განწესრიგების დამყარება (დაგვა-დალაგება, გარეშე სასაღებულების დაკეტვისა და გაღების წესი, ღამით სიწყნარის საათების განსაზღვრა და სხვ.);

ვ) საერთო სარგებლობის ადგილას ცხოველების შენახვის წესის დამყარება;

ზ) საერთო სარგებლობის ადგილას მცხოვრებლების იმ პირთა ფართობებზე გადასახლება, ვინც ისინი ამ ადგილას ჩასახლეს;

თ) კომუნალური მომსახურებისა და განათების სასყიდლის განაწილება;

ი) ბინებში ღუმელების გათბობის წესის დამყარება და ამა გათბობისათვის საჭირო ხარჯების განაწილება;

კ) საერთო სარგებლობის სადგომების ისეთი შეკეთების ხარჯის მდგმურთა შორის განაწილება, რაც მდგმურებს ეკისრებათ;

ლ) კონტრიბუცია სარჩელი არა უმეტეს 50 მანეთისა, რაც აღიძვრის სახლებსა და საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობებში მცხოვრებ პირთა შორის,

გარდა საბინაო კირისა (მე-6 მუხლის „ა“ პუნქტი), ალიმენტებისა და მშრომლისა საქმეებისა;

მ) სიტყვით, წერილობით ან მოქმედებით შეურაცხყოფა, გამაწილებელი ტყუილი ცნობების გავრცელება და ცემა სხეულის დაუზიანებლად;

ნ) რისამე მოპარვა სახლის ან საბინაო-კოოპერატიული შენაერთის მდგმურისათვის, უკეთუ ნაჭურღალი 50 მან. თანხას არ აღემატება და ქურდობა ჩადენილია პირველად და რაიმე სატეხი იარაღის გამოყენებლად;

ო) ხულიგნობა, უკეთუ იგი სისხლის სამართლის წესით დევნას არ იწვევს, და სხვაგვარი ყოფაქცევა, რაც ყოფაცხოვრების უარყოფით მხარეებს გამოხატავს და საზოგადოებრივი კოლექტივის მოთხოვნებს არ შეესაბამება;

ბ) თვითნებობა, უკეთუ იგი ჩადენილია პირველად და ამ თვითნებობით მიყენებული ზარალის თანხა 50 მან. არ აღემატება.

5. საამხანაგო სასამართლო ამა დადგენილების მე-4 მუხლში აღნიშნულ საქმეებს განიხილავს:

ა) როდესაც მხარენი იმ სახლის ან საბინაო კოოპერატიული ამხანაგობის მდგმურის არიან, სადაც მოწყობილია უწყებული საამხანაგო სასამართლო;

ბ) როდესაც მხარენი არიან სხვადასხვა საბინაო ერთეულების, ხოლო ერთი რაიონის ან ქალაქის ფარგლებში მცხოვრები მოქალაქენი; ასეთ შემთხვევაში საქმე განიხილება მოპასუხის ან მცირე დანაშაულის ჩამდენის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

6. საამხანაგო სასამართლოს არ ექვემდებარება საქმე:

ა) როდესაც სახლის სამოურაოსა და მოზინადრეთა შორის აღძრულია დავა ბინის კირის შესახებ;

ბ) როდესაც მცირე დანაშაულის ჩამდენი (პირის მოქმედებას სხვა რამე დანაშაულის ნიშნები აქვს ან როდესაც მისი ქმედობა გადასახდელის უფრო ძლიერ ღონისძიებას იწვევს, ვიდრე ის ღონისძიება, რომლის გადაწყვეტის უფლებაც საამხანაგო სასამართლოს აქვს.

აღნიშნულ საქმეებს სახალხო სასამართლო განიხილავს საერთო წესისამებრ.

7. საამხანაგო სასამართლოში საქმე აღიძვრის დაინტერესებული პირის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის როგორც წერილობითი, ისე სიტყვიერი განცხადებით.

სიტყვიერი განცხადება სასამართლოს თავმჯდომარემ ან სასამართლოს წევრმა თუ მდივანმა უნდა შეიტანოს ოქმში, რომელიც წაეკითხება მოსარჩელეს. ოქმს ხელს მოაწერს მისი შემდგენელი და მოსარჩელე.

8. საამხანაგო სასამართლოს მოქმედება სასამართლოს წარმოების არაერთარი ფორმალური წესებით არ არის შეზღუდული, იმ წესების გარდა, რასაც ეს დადგენილება შეიცავს.

სამართლის წარმოება საამხანაგო სასამართლოში განთავისუფლებულია ყოველგვარი ფულადი და სხვაგვარი გამოსაღებისაგან.

საამხანაგო სასამართლოს საკანცელარო-ტექნიკურ მომსახურებას (ქალაქი, სადგომი, მხარეთათვის შეტყობინების გავზენა და სხვ.) გაუწევს სახლის სამოურაო თავისი ამარატივით და სახსრით.

9. საამხანაგო სასამართლოში საქმე განიხილება კარდია სხდომაზე, სადა მსჯელობისას ან მისი მოადგილისა, მდივნისა და საამხანაგო სასამართლოს ორი წევრის შედგენილობით; წევრები მონაწილეობას მიიღებენ რიგობის მიხედვით. საქმე საამხანაგო სასამართლოში განიხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ხუთი დღისა განცხადების მიღების დღიდან.

10. საამხანაგო სასამართლოს მთელი შედგენილობა ან მისი ცალკეული წევრები შეიძლება ჩამოცილებულ იქნენ საქმეში მონაწილეობისაგან. განცხადება საამხანაგო სასამართლოს წევრების ჩამოცილების შესახებ შეიტანება იმ შემთხვევაში, უკეთეს საამხანაგო სასამართლოს წევრთაგან ვინმე ამა თუ იმ მხარესთან განსაკუთრებულ ურთიერთობაშია ან უკეთეს ის დაინტერესებულია, როგორ გადაწყდება საქმე.

საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად საფუძვლიანია სასამართლოს წევრების ჩამოცილების შესახებ შეტანილი განცხადება გადასწევტენ სასამართლოს ის წევრები, რომელთა წინააღმდეგ განცხადება შეტანილი არ არის. უკეთეს ჩამოცილების მიზეზი პატივსაცემად იქნა ცნობილი, საამხანაგო სასამართლო, საქმის გადაუღებლად, გამოიწვევს სხდომაზე საამხანაგო სასამართლოს სხვა წევრებს.

11. საამხანაგო სასამართლო მოვალეა დაიბაროს საქმის განხილვისათვის მომჩივანი, მოპასუხე ან მცირე დანაშაულის ჩამდენი, მოისმინოს მათი ახსნა-განმარტება, დაჰკითხოს, უკეთეს საქიროა, მოწმეებს, მოახდინოს ადგილობრივი დათვალიერება და იხმაროს ყველა ღონისძიება საქმის სრული და ყოველმხრივი გამორკვევისათვის.

უკეთეს საქმეში მონაწილე პირნი, მიიღებენ რა შეტყობინებას, სასამართლოში არ გამოცხადდებიან, საქმე შეიძლება ან გადაიდოს გამოუცხადებელ პირთა ხელმეორედ დაბარებით, ან განიხილულ იქნეს სასამართლოს მიერ უდიდოდ, ან და მოისპოს, უკეთეს ეს პირნი არ გამოცხადდებიან უპატივსაცემო მიზეზით.

მხარეთა წარმომადგენლობა არ შეიძლება, ხოლო მე-4 მუხლის „ლ“ პუნქტში აღნიშნულ საქმეებზე შეიძლება მხარეების მაგივრად საქმის განხილვის დროს წარმომადგენლები გამოვიდნენ ნათესავთაგან ან მახლობელთაგან, უკეთეს ეს წარმომადგენელნი სხვის საქმეებზე ვეკილობას არ ეწევიან ვასამრჯელოს მიღებით და უკეთეს სასამართლო არ მოითხოვს, რომ საქმის განხილვის პირადად მხარენი დაესწრნენ.

12. საამხანაგო სასამართლოს დადგენილება მიიღება ხმის უმეტესობით, დაიწერება მოკლედ და გამოეცხადება საქმეში მონაწილე პირთ საჯაროდ.

13. საამხანაგო სასამართლოს შეუძლიან შეაფარდოს შემდეგი სახედმოკმელო ღონისძიება:

ა) გაუფრთხილება;

ბ) საზოგადოებრივი გაკიცხვა—სამინაო კოლექტივის კედლის გახეთში თუ საერთო პრესაში გამოქვეყნებით ან გამოუქვეყნებლად;

გ) ვარიზა არა უმეტეს 10 მანეთისა სახლოს ან საბინაო შენაერთებისა შიგნითა ზოგადოებრივი ორგანიზაციების—კულტკომისისა და „ბავშვის მეგობარებისა“ და სხვ. საზოგადოებათა ორგანიზაციების—სასარგებლოდ;

დ) მიყენებული კონერბივი ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება, უკეთეს იგი 50 მანეთს არ იღებატება.

14. საამხანაგო სასამართლოს დადგენილება საბოლოოა, არ განისაზღვრება და დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღსრულებული.

15. უკეთეს საამხანაგო სასამართლოს დადგენილება ნებაყოფლობით აღსრულებულ არ იქნა, მას აღასრულებს სასამართლოს აღმასრულებელი.

16. საამხანაგო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას, რომლითაც მხარეს მოვალეობად დაეკისრა არ გაუწიოს მეორე მხარეს დაბრკოლება ბინის სარგებლობის საქმეში, აგრეთვე იმ გადაწყვეტილებას, რომლის იძულებითი აღსრულებაც შეუძლებელია (მაგ., განსაზღვრული მოქმედების ზანგრძლივ აღსრულება, როგორც არის: სადგომის სუფთად შენახვა, განსაზღვრული სადგომების განათება და სხვ.), აღასრულებენ თვით მხარენი; ამისთანავე, სათანადო გადაწყვეტილების აღსრულებლობა შეიძლება გახდეს საბაზად საბინაო საქმეთა სახალხო სასამართლოსადმი მიმართვისათვის.

17. საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე საამხანაგო სასამართლოებისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისრება საქართველოს სსრ-ის უზენაეს სასამართლოს, ხოლო მათ მოქმედებას უშუალო ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას გაუწევენ სათანადო სახალხო სასამართლოები.

18. უკეთეს სახალხო მოსამართლე, პირადად ან პროკურორის პროტესტით, აღმოაჩენს საამხანაგო სასამართლოში ამ სასამართლოს არაქვემდებარე საქმეს, ან შენიშნავს საამხანაგო სასამართლოს დადგენილებაში მისი კომპეტენციის გადაშტეტებას თუ კანონის არსებით დარღვევას, იგი შეაჩერებს დადგენილების აღსრულებას და მიიღებს საქმეს თავისდა განსახილველად.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოფჩია.

1931 წ. ოქტომბრის 17.

ტფილისი